პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 2 (244)
ორშაბათი,
19
იანვარი,
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

## სასიხარულოა როცა სტუდენტი გამოცდას კარგად აბარებს!

## გამოცდების დღეები

### ჯგუფის საუკეთესო სტუდენტები

ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული განყოფილების III კურსის სტუდენტებმა პირველ საგამოცდო საგნად ლათინური ენა აირჩიეს. საგამოცდოდ 6 და 7 იანვარი იყო დანიშნული. როგორც ტრადიციულად დამკვიდრებულია, მე ვფიქრობდი, რომ ჩემთანაც ასევე უკანასკნელ დღეს მოაწყდებოდა უმრავლესობა. მაგრამ შევცდი. 6 იანვარს, დილის 9 საათზე სიხარულით და გაბრწყინებული სახით კიბეზევე მომეგებნენ სტუდენტები. მეც ასევე ხალისით მივესალმე მათ. აუდიტორიაში შემოსვლაზე ერთმანეთს ეცილებოდნენ, თუ ვინ შემოსულიყო ყველაზე წინ.

აი, გამოცდაზე შემოდიან ერთმანეთზე უკეთესები... ირინა ბალათურიას, სამი წლის მანძილზე არც სიყვარული და არც ინტერესი არ შეუნელებია ამ საგნისადმი. იგი მეტად სერიოზული და მშრომელი სტუდენტია. მისი დინჯი, მოფიქრებული და გონივრული პასუხი მე სიხარულს მგვრის, აღფრთოვანებას მმატებს.

მას გვერდს უმშვენებს უნივერსიტეტის საამაყო სტუდენტი მეჯი ჩერქეზოვა. მისი სამი წლის ბეჯითი შრომის შედეგი მარტო ენებში როდია სასიხარულო. იგი ასევე წარმატებით სწავლობს ლიტერატურასა და სხვა საგნებსაც. ვის არ ახსოვს გასულ წელს მის მიერ სამეცნიერო სესიაზე წაკითხული საუცხოო შრომა?..

ჩერქეზოვა გამოცდაზე ზის როგორც შეეფერება ღრმად მცოდნე ადამიანს, როგორც შეშვენის საგნის ღრმად მფლობელ სტუდენტს. მისი ჭკვიანი თვალები ალერსსა და სითბოს აფრქვევენ. მისი კეკლუცად აღმართული თავი სიამაყის გრძნობას ბადებს, სიხარულის გრძნობას ანთებს. იგი დამოუკიდებლად თარგმნის რომაელ პოეტებსა და პროზაიკოსებს.

გამოცდაზე შემოდიან ნანა ქურდიანი და რიმა ტიანი. ნანა ქურდიანს მთელი ფაკულტეტი იცნობს. იგი აქტივისტი კომკავშირელია, საზოგადოებრივ საქმეებში დაუცხრომელი ახალგაზრდა, სახელობის სტიპენდიანტი. მას ისე უჭირავს თავი, როგორც დიდ ადამიანს. გამოცდაზე ოვიდიუსი ნაზონის „ოქროს საუკუნეს" წარმტაცად ჰყვება.

რიმა ტიანმა თავისი მუყაითი შრომით, თავმდაბლობითა და წყნარი ხასიათით დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, როგორც პედაგოგთა ისე საკუთარ ამხანაგთა შორისაც. ვინ არ იცნობს ამ შავგვრემან კორეელ ქალიშვილს? ვინ არ იცნობს მუდამ წიგნებით ხელში, ჩათხრობილი სახით და მოჭუტული თვალებით საქართველოში სწავლის მისაღებად ჩამოსულ სტუმარს? სწორედ მაშინ, როდესაც იგი გამოცდას მაბარებდა, აუდიტორიაში შემოვიდა ფაკულტეტის დეკანი, რომელიც აგრეთვე კარგად იცნობს რიმას. დეკანი იზიარებს ჩემ აზრს რიმას შესახებ და მოხარულია მისი წარმატებით, მისი შრომისმოყვარეობით.

აი, ესენი არიან ჯგუფის საუკეთესო მისი წარმატებით.

**ნ. მათიაშვილი,**
უფროსი მასწავლებელი.

### მისაბაძი მაგალითი

99-ე აუდიტორიაში პროფ. ვ. შადური გამოცდას იბარებს XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ დერეფანში არ იგრძნობოდა გამოცდის ჩამბარებელ მეორეკურსელ სტუდენტთა სიმრავლე. რაშია საქმე?

ჯერ კიდევ გამოცდების დაწყებამდე პროფ. ვ. შადურმა გაანაწილა დრო თვითეული სტუდენტისათვის. მან ყოველ მათგანს დაუნიშნა გარკვეული საათი, რომელზეც მას გამოცდა უნდა ჩაებარებინა. სწორედ ამან მიგვიყვანა ზემოაღნიშნულ შედეგამდე.

პროფ. ვ. შადურთან გამოსაცდელ სტუდენტებს არასოდეს არ დასჭირდებათ ზედმეტი ნერვიულობა დიდხანს ცდის გამო.

სამწუხაროდ, ეს უთუოდ მისაბაძი მაგალითი თითქმის სავსებით არაა გამოყენებული სხვა გამომცდელთა მიერ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასარგებლო იქნება მისი ცხოვრებაში დანერგვა.

როგორღა ჩატარდა გამოცდა?

პროფ. ვ. შადური კმაყოფილი დარჩა სტუდენტთა ღრმაშინაარსიანი პასუხებით. განსაკუთრებით მოეწონა მას სტუდენტების — თარხნიშვილის, გალაჩიანის, არტამონოვას, ბარიცკაიას, კორხოვას, ციტრინას, პროვონოჩისა და სხვების პასუხები. როგორც წესი, გამოცდას ის სტუდენტები აბარებენ კარგად, რომლებიც სისტემატურად ესწრებიან ლექციებს და ბეჯითად მუშაობენ.

კურსმა გამოცდები წარმატებით ჩააბარა. ამაზე მეტყველებენ თუნდაც მშრალი ციფრები: 58 კაციდან არცერთს არ მიუღია არადამაკმაყოფილებელი შეფასება. ისღა დაგვრჩენია, რომ მათ შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ გამოცდების ჩაბარებაში.

**ე. ბეიზმანი,**

### პირველ გამოცდაზე

ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის მზადებას თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ. ყოველდღიურ პრაქტიკულ-სემინარულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობით ვაშენებდით თეორიული კურსის მტკიცედ და შეგნებულად შეთვისებას. აი, კარგი მუშაობის შედეგიც: პირველი გამოცდა ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობის IV კურსის სტუდენტებმა ჩავაბარეთ საბჭოთა კავშირის ფიზიკურ გეოგრაფიაში. ჯგუფის თხუთმეტი სტუდენტიდან თორმეტმა მიიღო უმაღლესი შეფასება, ხოლო დამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო ერთმა. საგნის ღრმად ცოდნა გამოამჟღავნეს სტუდენტებმა — გ. დეკანოიძემ, ნ. სულხანიშვილმა, ზ. ჩანტლაძემ, ი. მამარდაშვილმა, შ. დეისაძემ და სხვ.

ენერგიას არ დავზოგავთ იმისათვის, რომ კარგად დაწყებული საქმე კარგადვე დავამთავროთ და სტუდენტური ვალი სახელმოხვეჭილ პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე პირნათლად მოვიხადოთ.

**გ. მარგველანი**

### გამოცდა ხალხურ სიტყვიერებაში



სურათზე: გამოცდა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების I კურსზე. პროფ. ქსენია სიხარულიძეს გამოცდას აბარებენ I კურსის სტუდენტები — ი. ცქიტიშვილი (მარჯვნიდან პირველი) და ჯ. აფციაური.

ფოტო ა. გემჯიანისა

⊙

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის № 2 საარჩევნო განყოფილებამ მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის მზადების პერიოდში დიდი მუშაობა გასწია: გარდა მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი სამუშაოსა, მან საარჩევნო განყოფილებასთან (ჩვენი უნივერსიტეტის I კორპუსი) რამდენიმე საილუსტრაციო სტენდიც მოაწყო.



სურათზე: სტუდენტები ათვალიერებენ მოსახლეობის საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით ჩვენს უნივერსიტეტში მოწყობილ საილუსტრაციო მასალების სტენდს.

⊙

## დაიწყო მოსახლეობის საკავშირო აღწერა

1959 წლის 15 იანვარს დაიწყო მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 2 საარჩევნო განყოფილების აღმწერლები, რომელთა დიდი უმეტესობა ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებია, 15 იანვრის დილის 8 საათიდან უკლებლივ ერთსულოვნად შეუდგნენ მოსახლეობის აღწერას. მოსახლეობა მათ გულთბილად შეხვდა. ყველა მათგანი ცდილობდა ხელი შეეწყო აღმწერლებისათვის, რათა მათ სწორად შეევსოთ საარჩევნო ფურცლის ყველა კითხვა.

აღწერაში დიდ მონაწილეობას იღებენ სასკოლო ასაკის ბავშვებიც. ისინი გულმოდგინედ ითვლიან მათ სახლში მცხოვრებთა რაოდენობას, რათა აღმწერს არც ერთი მათგანი არ გამორჩეს. სევასტოპოლის ქუჩაზე № 20 სახლში მცხოვრები ბავშვები ჟრიამულით შეეგებნენ აღმწერ ა. აბჟანდაძეს და მას დიდი დახმარება გაუწიეს. ქლუხორის ქუჩაზე № 7 სახლში მცხოვრებმა მ. ორჯონიკიძემ 16 იანვარს დღის ბოლოსათვის აღწერის განყოფილებას აცნობა, რომ იგი მიემგზავრება ქალაქგარეთ, რითაც დიდად დაეხმარა აღმწერლებს. იმავე სახლის მცხოვრებმა ლ. გოგიშვილმა და ო. ლომთაძემ აღმწერს, რომელსაც სახლში არ დახვდნენ, აცნობეს, რომ ისინი სახლში იქნებიან 17 იანვრის დღის 2 საათზე. მოსახლეობის ასეთი ყურადღება აღმწერთა და ინსტრუქტორ-კონტროლიორთა კარგი საგიტაციო მუშაობის შედეგია.

მოსახლეობის საარჩევნო ფურცლის ყოველი კითხვა განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. მათი შევსების შედეგად მიღებული მასალა საფუძვლად დაედება მოსახლეობის რაოდენობის, შედგენილობის და კვლავწარმოების საკითხების შესწავლას. აღნიშნულის გამო საჭიროა საარჩევნო ფურცლის კითხვების სწორად შევსება, რასაც შეძლებს მხოლოდ ამ საქმისათვის მომზადებული აღმწერი. აღწერის სანიმუშოდ ჩატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღმწერის ორგანიზებულ მუშაობას და მის მიერ საარჩევნო ფურცლის შევსების წესის კარგად ცოდნას.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის მოსახლეობის საარჩევნო № 2 განყოფილების აღმწერლები კარგად მუშაობენ. აღმწერთა უმეტესობა დღის განმავლობაში გადაჭარბებით ასრულებს მათთვის დაწესებულ ნორმებს. აღმწერლებს ათვისებული აქვთ საარჩევნო ფურცლის შევსების წესი.

აღმწერთა შორის, მათ მიერ აღწერილი მოსახლეობის რაოდენობისა და წარმოდგენილი მასალების ხარისხის მიხედვით, გამოირჩევიან ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები: მ. ჯიქია, ნ. ჯალაღანია, დ. კაკიაშვილი, ლ. ფრუიძე, ბ. თოდუა, ნ. ყუფუნია, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები: ვ. კომბაი, ვ. ბაბუაძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები: ზ. ნებურიშვილი, ვ. ბასიშვილი, ა. გაბისონია და სხვ.

დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ ინსტრუქტორ-კონტროლიორები (ყველა მათგანი ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია). თვითეული მათგანი დღის განმავლობაში სისტემატურად უწევს კონტროლს აღმწერის მუშაობას და ამოწმებს მათ მასალებს. გამოცდილების გაზიარების მიზნით ისინი აწყობენ საინსტრუქტორო უბნების ურთიერთ შემოვლა-შემოწმებას.

№ 2 საარჩევნო განყოფილების აღმწერთა შემადგენლობიდან 15 კაცი მობილიზებული იყო რკინიგზაზე 14-15 იანვარს მგზავრების ასაწერად. ამ ბრიგადას კარგად ხელმძღვანელობდა ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი რ. ცისკარიშვილი.

№ 2 საარჩევნო განყოფილების მთელი შემადგენლობა ენერგიულად მუშაობს. აღწერის დაწესებულ დროში და ხარისხიანად ჩატარებისათვის, რისთვისაც მას შექმნილი აქვს ყველა პირობა.

**ვ. ბურჭულაძე,**
ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის № 2 საარჩევნო განყოფილების გამგე.

# გამოჩენილი მეცნიერი

### პროფ. ალ. ჯანელიძის დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა, პირველ რიგში საქართველოსა და კავკასიის გეოლოგები, როგორც მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავენ ალექსანდრე ილარიონის ძე ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლისა და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის 50 წლისთავს.

ა. ჯანელიძე დაიბადა 1888 წლის 6 ნოემბერს, ქვემო რაჭაში, ს. სინათლეში (ნიკორწმინდა). საშუალო განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, საიდანაც 1905 წელს რევოლუციური გამოსვლისათვის გამორიცხულ იქნა. შემდეგში მან საშუალო განათლების მოწმობის მისაღებად გამოცდები ექსტერნად ჩააბარა. 1906 წელს ა. ჯანელიძე ჟენევაში გაემგზავრა, ხოლო იქიდან 1907 წელს პარიზში გადავიდა და სორბონის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე შევიდა, რომელიც 1910 წელს დაამთავრა.

1911 წ. ა. ჯანელიძე საქართველოში ბრუნდება და ქუთაისის გიმნაზიაში ფიზიკასა და მათემატიკას ასწავლის. 1915 წელს უფლებებში გათანაბრების მიზნით ქ. ყაზანის უნივერსიტეტში ექსტერნად აბარებს გამოცდებს ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. აქ მას ასპირანტად და გეოლოგიის კათედრის ასისტენტად ირჩევენ. ქ. ყაზანში ა. ჯანელიძემ თავისი პირველი პალეონტოლოგიური სამეცნიერო შრომა — „ურალის დასავლეთ ფერდობის დევონური ფაუნა“ დაწერა. 1918 წელს იგი საქართველოში ბრუნდება და 1919 წელს ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში გეოლოგიის ასპირანტად ირჩევენ. 1920 წლის დამლევს ა. ჯანელიძე უნივერსიტეტის მიერ მივლინებულ იქნა დასავლეთ ევროპაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იგი ჯერ პარიზში საშუალო და ტექნიკური განათლების საქმის დაყენებას ეცნობოდა, ხოლო შემდეგ გადავიდა გრენობლში, სადაც აკადემიკოს ვ. კილიანთან სწავლობდა და მუშაობდა. აქ, მოკლე დროში რამდენიმე შრომა გამოაქვეყნა. მათ შორის ერთი მონოგრაფია, რომელიც საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სპიტიცერასებს შეეხება.

1921-22 წლებში ა. ჯანელიძე მუშაობდა იმ დროის ერთ-ერთი გამოჩენილი გეოლოგის, აკადემიკოს ოგის ლაბორატორიაში, ხოლო შემდეგ გერმანიაში ქ. გალეში — პროფესორ ვალტერთან.

1923 წელს ა. ჯანელიძე სამშობლოში ბრუნდება. ეს იყო ის დრო, როდესაც საბჭოთა საქართველო, მენშევიკური ბატონობისაგან ახლად განთავისუფლებული, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფართო აღორძინებისა და განვითარების გზას დაადგა. ამავე წლის ოქტომბერში ა. ჯანელიძემ თბილისის უნივერსიტეტში ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1924 წელს მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას და ირჩევენ ჩვენი უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგედ, რომელსაც იგი დღემდე ნაყოფიერად განაგებს.

1924-40 წლებში ა. ჯანელიძე ერთდროულად კითხულობს ლექციებს და განაგებს მის მიერ ჩამოყალიბებულ პალეონტოლოგიისა და გეოლოგიის კათედრას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზეც.

ა. ჯანელიძის, ა. თვალჭრელიძისა და ქ. გაბუნიას თაოსნობით 1925 წელს არსდება საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი დღიდან დაარსებისა 30 წლის განმავლობაში ა. ჯანელიძე იყო. ამავე დროს ა. ჯანელიძე მთელ რიგ მეცნიერულ დაწესებულებებსაც ხელმძღვანელობდა. ასე მაგალითად, 1926—1929 წლებში იგი საქართველოს მუზეუმის დირექტორია, ხოლო 1933-36 წლებში



საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის გეოლოგიური სექტორის ხელმძღვანელი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, 1941 წ. თებერვალში მას ირჩევენ აკადემიის ნამდვილ წევრად და მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ და, იქიდან მოყოლებული, დღემდე მუშაობს ამ თანამდებობაზე. 1942-44 წლებში ა. ჯანელიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია. 1951-56 წლებში კი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ა. ჯანელიძის თაოსნობით 1933 წელს დაარსდა საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება, ხოლო 1937 წლიდან იგი ამ საზოგადოების ხელმძღვანელია. ამავე დროს ა. ჯანელიძე საქართველოს გეოგრაფიულ, სრულიად საკავშირო პალეონტოლოგიურ და საფრანგეთის გეოლოგიურ საზოგადოებათა წევრია.

აკადემიკოს ა. ჯანელიძეს მრავალი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომი ეკუთვნის, რომლებიც თეორიული და გამოყენებითი გეოლოგიის სხვადასხვა საკითხებს შეეხებიან. ასეთია მისი შრომები პალეონტოლოგიაში და სტრატიგრაფიულ გეოლოგიაში. ა. ჯანელიძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს იურული და ცარცული ნალექების დათარიღებაში. ამ მხრივ მას მრავალი აღმოჩენა ეკუთვნის. სახელდობრ, კავკასიის ძირითადი ფიქლების ლიასური ასაკის პალეონტოლოგიური დასაბუთება, პორფირიტული წყების ბაიოსური ასაკის დადგენა, ჩვენში კალოვიურის დადგენა, მისი ფაუნის შესწავლა და სხვა.

დიდად მნიშვნელოვანია ა. ჯანელიძის შრომები ტექტონიკისა და თეორიული გეოლოგიის საკითხებზე. მის მიერ დამუშავებულია მთათა წარმოშობის ფაზების ასაკის დადგენის ახალი მეთოდი სინქრონული რეგრესიით და არა მომდევნო ტრანსგრესიით. ეს მეთოდი არსებითად განსხვავდება ცნობილი გერმანელი მეცნიერის — შტილეს მეთოდისაგან. მან მოგვცა საქართველოს სხვადასხვა რაიონების ტექტონიკური აგებულების ახლებური განმარტება და დაადგინა ნაოჭების ახალი სახეობა — „კიდური ნაოჭები“, რომელთა არსებობა საქართველოს გარეთ, სხვა ნაოჭა სისტემებშიც დადასტურდა. მის მიერ წამოყენებულია საინტერესო თეორიები მთათა სისტემების მიგრაციისა და მთათა შუა ბელტების შესახებ (როგორიცაა საქართველოსა და აზერბაიჯანის ბელტები), ოროგენის მიგრაციის შედეგად კონტინენტების ზრდის შესახებ და სხვა. მისი ბოლოდროინდელი შრომები გრანიტების წარმოშობის პრობლემასაც ეხება. ა. ჯანელიძის შრომებში სათანადო განმარტება ეძლევა საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ეგზოტექტონურ მოვლენებს. მის მიერ შემუშავებულია მეწყერთა ორიგინალური კლასიფიკაცია. ამ საკითხების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტების საქმეში.

ბოლო წლებში ა. ჯანელიძის ხელმძღვანელობით ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები საქართველოს გეოლოგიური აგებულების გასარკვევად. მისი მოწაფეების მიერ, რომელნიც გეოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობენ, მონოგრაფიულად შესწავლილია საქართველოში გავრცელებული ფორმაციები უძველესიდან მეოთხეულამდე.

ა. ჯანელიძეს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის გამოყენებითი გეოლოგიის საკითხების გადაწყვეტაში. ყველა მათი ჩამოთვლა ძნელია.

ა. ჯანელიძე არა მარტო დიდი მეცნიერია. იგი საუკეთესო აღმზრდელი და ხელმძღვანელიცაა. მას არაერთი ასეული გეოლოგი აღუზრდია, რომელთა შორის მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორია, პროფესორი და აკადემიკოსია.

საქართველოში გეოლოგიური აზრის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია ა. ჯანელიძის სახელთან. არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი გეოლოგიის დარგში, მისი მონაწილეობის გარეშე არ წყდება. მას სამართლიანად საქართველოს გეოლოგიის მამას უწოდებენ.

ა. ჯანელიძე 1942 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია. სამშობლომ, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა ა. ჯანელიძის ღვაწლი და დამსახურება. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. 1946 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. იგი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოთხივე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ამასთან, იგი არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

ვუსურვოთ სახელოვან იუბილარს ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და კვლავ ნაყოფიერი შრომა ჩვენი დიადი სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**დოც. გ. ქომეთიანი**

# ფიზიკოსი პირველკურსელები წარმატებით აბარებენ გამოცდებს

მღელვარე განცდა გამოცდების წინ ჩვეულებრივია სტუდენტებისათვის და რა გასაკვირია, თუ ფიზიკის ფაკულტეტის პირველკურსელებიც მღელვარებას განიცდიდნენ. მათთვის ეს გამოცდები ხომ პირველი ხილია!

უკვე რამდენიმე დღეა I კურსის ქართული და რუსული სექტორების სტუდენტები აბარებენ გამოცდას ზოგად ფიზიკაში, კერძოდ მექანიკაში. შევდივართ გამომცდელთან, დოც. ალ. იმხნელთან და ვთხოვთ, გაგვიზიაროს მისი შთაბეჭდილება იმის შესახებ, თუ როგორი მომზადებით გამოცხადდნენ სტუდენტები გამოცდაზე. გამომცდელი უდავოდ კმაყოფილია, მას სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია გვესაუბროს ამ საკითხზე.

აშკარად იგრძნობა, გვეუბნება დოც. ალ. იმხნელი, რომ სტუდენტების უმეტესი ნაწილი სერიოზულად მომზადებულა გამოცდებისათვის. ძალიან იშვიათია, რომ სტუდენტი მხოლოდ კონსპექტით მომზადებულ საგანს აბარებდეს. მათ დასახელებული ჰქონდათ რამდენიმე სახელმძღვანელო, უმეტესი მათგანი რუსულ ენაზე. იშვიათია ისეთი სტუდენტი, რომელიც რომელიმე დასახელებული სახელმძღვანელოს ღრმა ცოდნას არ ავლენდეს. ზოგს ორი ან მეტი სახელმძღვანელოს წაკითხვა და შესწავლაც მოუხერხებია.

ქართულ სექტორზე უკვე ორმოცი კაცი გამოიცადა. ამათგან 18 სტუდენტს ფრიადი შეფასება დაეწერა, თორმეტმა მიიღო კარგი, ხოლო დანარჩენის ცოდნა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. ჯერჯერობით მოუმზადებელი სტუდენტი ამ სექტორზე არ შევხვედრია, კმაყოფილებით დასძენს გამომცდელი.

რუსულ სექტორზე ჯერ-ჯერობით გამოცდაზე 52 სტუდენტი გამოვიდა, ამათგან ფრიადი მიიღო ოცდაორმა, კარგი — ოცდაოთხმა, დამაკმაყოფილებელი—ოთხმა და მხოლოდ ორი სტუდენტის ცოდნა შეფასდა არადამაკმაყოფილებლად. ჩვენ გამომცდელს ვთხოვეთ ამ უკანასკნელთა გვარები: ნემეტ ცეევა და იური ჩიბალაშვილი. სამწუხაროდ ამათი საერთო მომზადების დონეც ძალზე სუსტია, დასძენს გამომცდელი.

— გთხოვთ დაგვისახელოთ გვარები ისეთი სტუდენტებისა, რომელთა პასუხმა განსაკუთრებული კმაყოფილება გამოიწვია თქვენში.

დოც. ალ. იმხნელი ღრმა კმაყოფილებით ასახელებს ქართული სექტორის სტუდენტებს: კ. ჯაფარიძესა და ფ. ტყებუჩავას, რუსული განყოფილების სტუდენტებს: მ. ივანენკოს, ო. გოგოლინს, გ. ჩარკვიანს, ა. დემურხანოვას, მ. ოდიშარიასა და ე. კიზირიას.—რა თქმა უნდა, ამათი გვარები საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, გვეუბნება გამომცდელი.

— პატივცემულო ალექსანდრე, საერთოდ როგორი შთაბეჭდილებისა ხართ ამ კურსის შესახებ, როგორია მათი მომზადების დონე? — ვეკითხებით გამომცდელს.

— უდავოდ კარგი, კარგი ნაკადი მოვიდა წელს. ჯერ-ჯერობით მათი მუშაობის შესახებ კმაყოფილების მეტი არაფერი გვეთქმის, მაგრამ ჯერ ხომ მხოლოდ დასაწყისია!

დიახ, მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ კარგი დასაწყისი ხომ კარგი მომავლის საწინდარიც არის.

# ბეჯითმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო

დადგა ნანატრი დღე. სტუდენტური ცხოვრების დასაწყისი. 1957-58 სასწავლო წლის პირველი სექტემბერი. პირველი ლექცია. გავიდა რამდენიმე წუთი და ლათინური ენის ლექტორმა ნინო მათიაშვილმა მცირე საუბრის შემდეგ დაფაზე ლათინურად დაწერა: „ცოდნა არის ძალა“. ვინ მოთვლის რამდენი შესანიშნავი ფრაზა, რამდენი ახალი ვისწავლეთ 3 სემესტრის განმავლობაში გამოჩენილ ბერძენ და რომაელ მწერლებზე. ყოველი ახლადშეძენილი ცოდნა ახალ ძალას გვმატებდა კიდევ უკეთესი სწავლისათვის. ჩვენ, სტუდენტები ამ ძალას თანდათანობით, ნელ-ნელა ვიკრებდით, რომელშიაც უშუალოდ ნ. მათიაშვილი გვეხმარებოდა. იგი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა იმისთვის, რომ საფუძვლიანად ესწავლებინა რომაული ენის ძირითადი საკითხები. პირველ ხანებში ეს ყველაფერი სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სისტემატური მეცადინეობის შედეგად იგი დაძლეულ იქნა. ლათინური ენის რთული გრამატიკის შესწავლაში დიდად დაგვეხმარა ლათინურიდან ტექსტების ქართულად თარგმნა, რომელსაც სტუდენტები სახლში ვასრულებდით ლექტორის მითითებით. გავიდა ხანი და დადგა გამოცდის ჩაბარების დრო. გამოცდის მოლოდინში ყველა აღელვებული ვიყავით. გაფაციცებით ვემზადებოდით და ვცდილობდით რაციონალურად გამოგვეყენებინა საგნის მომზადებისათვის განკუთვნილი დრო.

შრომა დაფასდა. გამოცდამ კარგი შედეგი გვიჩვენა. არც ერთი სტუდენტი არ ჩაჭრილა. ამ საგანში გამოცდა ფრიადზე ჩააბარეს სტუდენტებმა: მ. ქურდაძემ, ნ. შავიშვილმა, ი. ალაძემ, დ. ვაწაძემ და სხვებმა.

**ლ. კიკოზაშვილი,**
დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.



სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკის სპეციალობის IV კურსის (რუსული ჯგუფი) სტუდენტი ნ. ლლონტი (მარცხნიდან პირველი) რადიოფიზიკის ლაბორატორიაში გამოცდას აბარებს იმპულსურ ტექნიკაში ასისტენტ გ. ქევანიშვილს.

ფოტო ა. გემჯიანისა

# წიგნის განხილვა

ამ დღეებში სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კათედრებმა მოაწყვეს პროფესორ ივანე ცინცაძისა და პროფესორ შოთა მესხიას წიგნის — „Из истории русско-грузинских взаимоотношений“-ს განხილვა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პროფ. ა. სურგულაძემ. კრიტიკული მოხსენებით გამოვიდა დოც. ნოდარ ნაკაშიძე. წიგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და ბევრი კარგი მოსაზრება გამოთქვეს დოცენტმა ვ. მაჭარაძემ, უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა მ. ლორთქიფანიძემ.

საბოლოო სიტყვებით გამოვიდნენ წიგნის რუსულ ენაზე მთარგმნელი სერგეი სერებრიაკოვი და წიგნის ერთერთი ავტორი პროფ. შოთა მესხია.

წიგნის ავტორმა, პროფ. შ. მესხიამ გაიზიარა ბევრი მართებული ისე სიტყვაში გამოსული ამხაანგებიისე სიტყვაში გამოსულ ამხანაგებისა და აღნიშნა, რომ ეს შენიშვნები გათვალისწინებული იქნება წიგნის ქართულ ენაზე გამოცემისას, რომელიც ახლო დროისათვის არის გათვალისწინებული. ამასთან, მან მეტად დამაჯერებელი პასუხი გასცა წიგნის განხილვისას გამოთქმულ რიგ შენიშვნებზე.

**გერვასი ნასარიძე,**



სურათზე: ეკონომიური ფაკულტეტის საბუხჰალტრო აღრიცხვის სპეციალობის II კურსის სტუდენტებს გამოცდის წინ პოლიტიკური ეკონომიის კაბინეტში კონსულტაციას უტარებს საგნის მასწავლებელი პროფესორი ნ. ტყეშელაშვილი.

ფოტო ა. გემჯიანისა

## კურსმა დაბალი მომზადება გამოამჟღავნა

ეკონომიურ ფაკულტეტზე შემომსვლელნი მისაღები გამოცდების დროს სხვა საგნებთან ერთად გეოგრაფიასაც აბარებენ საშუალო სკოლის პროგრამით.

გარდა ამისა, პირველ კურსზე პირველი ნახევრის განმავლობაში იკითხება კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფიის კურსი. მაშასადამე, ეკონომიური ფაკულტეტის პირველმა კურსმა საკმაოდ კარგად უნდა იცოდეს გეოგრაფია. ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება სტუდენტის ცოდნისადმი, სინამდვილეში კი მიმდინარე გამოცდებზე პირველკურსელ სტუდენტთა დიდმა ნაწილმა ვერ გამოამჟღავნა სათანადო ცოდნა ნამდვილი მასალისა.

მრეწველობის სპეციალობის ჯგუფში (№ 1081) 19 სტუდენტიდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღეს ზურაბ გოგიაშვილმა, ლამარა ბიძინაშვილმა და ოთარ სისაურმა. პირველმა ორმა გამოამჟღავნეს რუკის სუსტი ცოდნა, მესამემ კი ვერ მოგვცა გეოგრაფიული გარემოს მარქსისტული განსაზღვრა და არ იცოდა ვ. ი. ლენინის ცნობილი შრომის სახელი, რომლის მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატები დაყოფილია სამ მთავარ ეკონომიურ რაიონად.

თითქმის ასეთივე საკითხებზე უცოდინარობა გამოამჟღავნეს საბუხჰალტრო აღრიცხვის ჯგუფიდან პირველკურსელებმა კ. კახაძემ და ი. გვასალიამ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სტუდენტები გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობას სწავლობენ სკკპ ისტორიის გავლისას, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ლენინურ დაყოფას სახალხო მეურნეობის ისტორიაში.

ამრიგად, ზოგიერთ საკითხს სტუდენტი სწავლობს, როგორც ეკონომიური გეოგრაფიის, ისე სახალხო მეურნეობის ისტორიის კურსის გავლისას და, მიუხედავად ამისა, ზოგმა სტუდენტმა მაინც არ იცის ვ. ი. ლენინის ცნობილი შრომის — „ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის კანონების შესახებ“ — სახელწოდება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა სტუდენტმა ნიშანი დამაკმაყოფილებელი მიიღო დიდი გაჭირვებით და მათ მხოლოდ მცირე უპირატესობა გვიჩვენეს „სუსტების“ მიმართ.

ასეთებია ს. დიაკონიძე, ი. ბესელაშვილი, ლ. გრიგოლია, ზ. რეხვიაშვილი და სხვ.

გამოცდაზე სამი ჯგუფიდან გამოცხადდა 52 სტუდენტი. მათგან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო რვამ, დამაკმაყოფილებელი ცხრამეტმა, ფრიადი კი მხოლოდ ცხრა სტუდენტმა.

მასალის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ვიოლა ზედელაშვილმა, ვალერიან ჯამრიშვილმა, ოთარ მოზაიძემ, ვაჟა გურგენიძემ და დილავარდის დავითულიანმა. შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი სტუდენტები სისტემატურად ესწრებოდნენ ლექციებს, კარგად მუშაობდნენ სემინარებზე და, ცხადია, კარგ შედეგსაც მიაღწიეს.

მთელი პასუხისმგებლობით აღვნიშნავ, რომ ასეთი დაბალი ნიშნები უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში არასოდეს არ დამიწერია ეკონომიური ფაკულტეტის პირველ კურსზე. ცხადია, დაბალ ნიშნებში ვგულისხმობ როგორც არადამაკმაყოფილებელ, ისე დამაკმაყოფილებელ ნიშნებს.

ეკონომიური ფაკულტეტის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მსჯელობის საგნად უნდა გახადონ ეს საკითხი.

დოც. გრ. ზარდალიშვილი

## „რა მიიღე?.. რა გკითხეს?..“

— რა მიიღე?..

— რა გკითხეს?..

— რა ვერ უპასუხე?..

დერეფანში უჩვეულო მღელვარებაა: შეფაკლული ლოყები, გაბრწყინებული სახეები, ჩამოშვებული ცხვირები, ვერცხლისწყლის სვეტივით უჩვენებენ ამინდსა თუ უამინდობას.

ასეთი სურათი სავსებით ბუნებრივია გამოცდის დღეებში. განსაკუთრებული მღელვარებით მოელიან საგამოცდო სესიებს პირველკურსელები. ეს გასაგებიცაა. მათ ცოდნის გამომჟღავნება უხდებათ აქამდე უჩვეულო ვითარებაში — უნივერსიტეტში, პროფესორებთან, ლექტორებთან...

თითქოს სულ რამდენიმე დღე გავიდა მისაღები გამოცდების შემდეგ — ჯერაც არ დავიწყებიათ პირველკურსელებს მასთან დაკავშირებული მღელვარებაცა და სიხარულიც.

იმ დროში, რაც მისაღებ გამოცდებსა და პირველი სემესტრის საგამოცდო სესიებს ერთმანეთისაგან აშორებს, ჩვენ შეგუებაც კი ვერ მოვასწარით უნივერსიტეტის ცხოვრებისადმი... და, აი, აუდიტორიებთან უკვე გაისმის:

— რა მიიღე?..

— ძნელად ეკითხება?..

ფილოლოგიის ფაკულტეტი... I კურსი... სამი გამოცდა... აქედან ორი უკვე ჩაბარებულია. დიდი მისწრაფება კარგი ნიშნებისადმი და სასურველი შედეგიც. მ. გოგიშვილმა, ზ. აბზიანიძემ, გ. ბენაშვილმა, გ. გუგუშვილმა, ტ. ხუხუამ, ვ. როდონაიამ, რ. გორდეზიანმა, თ. კვაჭანტირაძემ, მ. კოჭლავაშვილმა, ვ. გოგუაძემ, გ. შარაძემ, ს. ჯაველიძემ, გ. ბურჭულაძემ და სხვებმა ორივე საგანი ფრიადზე ჩააბარეს. სტუდენტთა საკმაო რაოდენობამ ნიშანი კარგი მიიღო, შედარებით მცირემ — დამაკმაყოფილებელი.

ამჟამად პირველკურსელი ფილოლოგები გაცხოველებით ემზადებიან გამოცდისათვის „საქართველოს ისტორიაში“, რათა წარმატებით გადალახონ ზამთრის სესიების ეს უკანასკნელი ბარიერიც.

გ. სალინაძე

# აღწერები ძველად და საბჭოთა ხელისუფლების დროს

### ა) აღწერები ძველ საქართველოში

ქართველი ხალხი ერთ-ერთი უძველესი და მაღალი კულტურის მქონე ხალხია. „საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დასახლებულ სხვა ხალხებზე უფრო ადრე ქართველმა ხალხმა შეძლო თავისი საკუთარი სახელმწიფოსა და მაღალი მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნა“ (აკად. პანკრატოვა).

ამ მაღალი კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს საღრიცხვო საქმიანობის ის მრავალფეროვნებაც, რომლის საწყისი შორეულ საუკუნეებში მოჩანს. მარტო ის რად ღირს, რომ ეს საღრიცხვო საქმიანობა განსაზღვრული წესების, ტერმინოლოგიისა და პერიოდულობის მიხედვით წარმოებდა — ასი-ორასი წლით უფრო ადრე, ვიდრე რიგ თანამედროვე სახელმწიფოში (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ნორვეგია, ჰოლანდია, დანია და ა. შ.).

ძველად წარმოებულ საღრიცხვო საქმიანობას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: საგადასახადო და სამხედრო. ამ აღწერების შედეგად მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა უფრო მძიმე და აუტანელი ხდებოდა, რადგან გადასახადებისა და სამხედრო საქმის სიმძიმე სწორედ მას აწვებოდა. ამ მიზნით სპეციალურ აღწერებს მიმართავდა როგორც შემოსეული მტერი, ისე ადგილობრივი ხელისუფლება, ეკლესია, მონასტრები და სხვადასხვა ორგანიზაციები.

1254 წ. საქართველოში მონღოლთა მიერ ჩატარებული აღწერის შედეგად „დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი ამის სამეფოსნი, და იწყეს აღწერად კაცთა-პირუტყვამდე, ყანით-ვენახამდე, წალკოტით-ბოსტნამდე“. ასეთ აღწერებს იმდენად მძიმე გადასახადები სდევდა თან „რომ ყოვლისა კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო... ამ ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა. ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებს თავისი ხელით კაფვიდის და აოხრებდის“.

1721 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დავთარში წერია: „აღვწერეთ ამ დავთართა შინა რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარება გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი“, ხოლო ვისაც არც იარაღის ტარება შეეძლო და არც ხარკის გაღება, „არა ავწერეთ წიგნთა ამას შინაო“.

ამასთან ერთად, ამ აღწერების ჩატარება მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვებოდა იმ მხრივაც, რომ მასში მონაწილეობდნენ „სარდლები და მდივნები“ თავიანთი ამალით, რომელნიც მოსახლეობისაგან იღებდნენ სათანადო „სარგოს“ (აღსამწერლოს) და მათი სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფაც მოსახლეობას ეკისრებოდა. ამნაირად, აღწერის ჩასატარებლად მოსახლეობას საკმაო ხარჯებიც უნდა გაეღო.

ასე მძიმე იყო წარსულში წარმოებული აღწერები და მათი შედეგები მშრომელი მოსახლეობისათვის.

### ბ) აღწერები მეფისდროინდელ რუსეთში

საღრიცხვო-სტატისტიკური საქმიანობა რუსეთში ერობათა ხაზით კარგად იყო დაყენებული (იგი საქართველოში არ იყო), ხოლო სახელმწიფო ორგანოთა ხაზით — მეტად დაბალ დონეზე იდგა, რადგან „რუსეთის ბიუროკრატია ხელს უშლიდა რუს ხალხს გაეგო მთელი სიმართლე თავისი მდგომარეობის შესახებ“ (ვ. ი. ლენინი), ხოლო ის ცნობები, რაც სახელმწიფო ორგანოების მიერ გროვდებოდა, იყო „ცრუ, უთავბოლო, კანცელარიულად არეული სტატისტიკა, რომელიც უფრო პოლიციური სახელწოდების ღირსია“-ო, წერდა ვ. ი. ლენინი.

ცარიზმი ხშირად არ ატარებდა განაპირა ქვეყნებში ისეთ სტატისტიკურ სამუშაოებსაც, რაც ცენტრალურ გუბერნიებში ხორციელდებოდა. ამით ცარიზმი შეუძლებელს ხდიდა განაპირა ქვეყნებში არსებულ მძიმე პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ პირობათა გამომჟღავნებას.

ამ გარემოებას როგორც რუსი, ისევე ქართველი პროგრესული მოაზროვნეებიც განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს და საქმის გამოსწორებას მოითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ.

ცარიზმის მიერ ჩატარებული მოსახლეობის ერთად-ერთი აღწერა (1897 წ.) იმდენად ნაკლოვნად განხორციელდა, რომ რიგ ადგილებში მოსახლეობა ცხენების მიცემაზე უარს ამბობდა, ტყეში გარბოდა და აღმწერთა მკვლელობის შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი.

ცარიზმის მიერ წარმოებული აღწერები იმავე მიზნებს ემსახურებოდნენ (საგადასახადოს და სამხედროს), რაც ძველ საქართველოში გვხვდებოდა. ერთ-ერთ აღწერას ეწოდებოდა „სამხედრო ცხენთა აღწერა“, ხოლო 1916 წ. ჩატარებული აღწერის ამოცანა იყო მსოფლიო ომით რუსეთში გამოწვეული სასურსათო კრიზისის დასაძლევ ღონისძიებათა განხორციელება.

მართალია, 1916 წ. აღწერისათვის რუსმა სტატისტიკოსებმა დიდი წინასწარი სამზადისი ჩაატარეს, მაგრამ ამ აღწერისათვის დამახასიათებელი მრავალი ნაკლიდან, როგორც მის მონაწილეს, სემინარიის მესამე კლასის მოწაფეს, არ დამავიწყდება აღწერის საბედისწერო ნაკლი. როდესაც ლეხურის ხეობის 30-მდე სოფლის აღწერის შემდეგ — აღწერის მასალებით უკან დაბრუნებული — ჩემი უფროსი (აწ განსვენებული აკად. ს. ჩოლოყაშვილი) მეუბნება: — „ჩემო ლუარსაბ, ისევ უნდა უკან წახვიდე; მოსულია ახალი ბრძანება, რომ საზაფხულო საძოვრებზე მყოფი პირუტყვი თავიანთ მეპატრონეთა სოფლებში უნდა აიწეროს და არა იალაღებზე, როგორც ამას უწინ გვიბრძანებდნენ“-ო. წასვლით კი წაველი, მაგრამ, გულახდილად ვთქვი მაშინაც და ახლაც ვამბობ, რომ აქედან ბევრი არაფერი გამოსულა.

### გ) აღწერები საბჭოთა საქართველოში

საღრიცხვო-სტატისტიკური საქმიანობის მტკიცე მეცნიერულ წარმოებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაეყარა საფუძველი. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაზე დაყრდნობით, სახელმწიფო და საუწყებო სტატისტიკის ორგანიზაციის სახით. მას შემდეგ მრავალი საინტერესო აღწერა და გამოკვლევა ჩატარდა, (მაგალითად, 1922, 1926 და 1939 წლების აღწერები).

ამ აღწერებს არავითარი საგადასახადო ან სამხედრო დანიშნულება არა აქვთ. ამასთან, მოსახლეობას არავითარი ხარჯების გაღება არ ეკისრება აღწერის ჩასატარებლად. ეს აღწერები თეორიულსა და პრაქტიკულ ამოცანებს ემსახურებოდნენ ისევე, როგორც 1959 წლის აღწერა.

მოსახლეობის 1959 წლის აღწერით ასახულ უნდა იქნას ის უდიდესი ცვლილებები, რომელიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში 1939 წლის აღწერიდან დღემდე, ე. ი. 20 წლის მანძილზე, მოსახლეობის რაოდენობის, შემადგენლობისა და განლაგების თვალსაზრისით.

მოსახლეობის აღწერის სწორი და უტყუარი ცნობები საჭიროა გეგმიანი მუშაობისა და ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად.

მოსახლეობის აღწერების ჩატარება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისაგან ხანგრძლივსა და ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს. მაგრამ, თუ მოსახლეობაც არ გაეცნო ამ აღწერის შინაარსს, მიზნებსა და ამოცანებს, საქმე წესიერად ვერ განხორციელდება.

აღწერების წარმოება მეტად რთული საქმეა და მის განხორციელებას დიდი წინასწარი მუშაობა სჭირდება. მაგალითად, 1925 წელს სრულიად რუსეთის სტატისტიკოსთა ყრილობაზე 1926 წელს ჩასატარებელი აღწერის თვითეული საკითხის გარჩევისას ხანგრძლივად ვმსჯელობდით და ვკამათობდით. ასევე მოხდა 1957 წელს ზაფხულზეც, მოსახლეობის 1959 წლის აღწერის სამზადისთან დაკავშირებით, როდესაც ქ. მოსკოვში საბჭოთა კავშირის ათასამდე ეკონომისტი და სტატისტიკოსი მთელი კვირის განმავლობაში ვიხილავდით ამ აღწერის ორგანიზაციულ-პროგრამულ და მეთოდურ საკითხებს — საქმის ღრმა მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების მიზნით.

ყველაფერ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის, რადგან მასში საბჭოთა კავშირში ასიათასობით პირი იღებს მონაწილეობას და ყველა მათგანი აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის ერთიანი აზრით და მეთოდით უნდა მოქმედებდეს. მერე რით ხასიათდება 1959 წ. აღწერა?

პ ი რ ვ ე ლ ი. აღწერა თვითაღრიცხვით კი არ ტარდება (როგორც ამას მიმართავენ ზოგჯერ უცხოეთში), არამედ აღწერას აწარმოებენ სტატისტიკური ორგანოების მიერ მივლინებული სპეციალური პირები (სათანადო მოწმობების საფუძველზე) და ყველა მოქალაქე ვალდებულია მისცეს მათ აღწერის პროგრამით გათვალისწინებულ კითხვებზე სწორი და უტყუარი პასუხი.

მ ე ო რ ე. აღწერის წარმოებისას აღმწერნი მოქალაქეებს კი არ სთხოვენ რაიმე დოკუმენტს ან საბინაო დავთარს, არამედ მოპოვებულ ცნობებს მხოლოდ მოქალაქის პირადი პასუხის მიხედვით იწერენ.

მ ე ს ა მ ე. აღწერას საბოლოოდ აინტერესებს არა ცალკეული პირი, მისი ვინაობა და მდგომარეობა, არამედ თვითეული ჩვენგანი როგორც საზოგადოების წევრი, რათა ამის შედეგად მივიღოთ მოსახლეობის საერთო სტატისტიკური დახასიათება. ცალკეული პირის გვარის, სახელისა და მამის სახელის კითხვას მხოლოდ საკონტროლო მნიშვნელობა აქვს, რომ ვინმე არ გამორჩეს აღწერიდან, ან ვინმე განმეორებით არ აღიწეროს. თვითეული პირის შესახებ მოპოვებული ცნობა სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლება და მისი გამომჟღავნება კანონით დაისჯება. ყველაფერი ეს იმაზე გველაპარაკება, რომ მოსახლეობას სრულიად თავისუფლად შეუძლია ცნობების მიცემა, ყოველგვარი მორიდების გარეშე.

მ ე ო თ ხ ე. მეცნიერულად წარმოებულ აღწერას მოსახლეობის ორი კატეგორია აინტერესებს: ფაქტიური (ანუ სახეზე მყოფი) და მუდმივი (ანუ ჩვეულებრივი) მოსახლეობა, რომელიც ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს.

მართალია, აღიწერება ფაქტიური მოსახლეობა, მაგრამ ამასთან ერთად ირკვევა დროებით აქ მყოფი მოსახლეობა და დროებით აქედან წასული (არა უმეტეს 6 თვით) მოსახლეობაც. ამ მონაცემთა საფუძველზე კი დადგენილი იქნება მუდმივი მოსახლეობაც.

მ ე ხ უ თ ე. რატომ ხდება აღწერა ზამთარში. იმიტომ, რომ მოსახლეობა ამ დროს ნაკლებ მოძრაობაშია, და ამიტომ უფრო ადვილად მიიღწევა მოსახლეობის უკლები აღრიცხვა.

მ ე ე ქ ვ ს ე. მოსახლეობის აღწერა ერთდღიურია, თუმცა იგი 15 იანვრიდან 22 იანვრამდე გრძელდება. ამასთან, აღწერის კრიტიკულ მომენტად 14-15 იანვრის ღამის 12 საათი ითვლება.

რას ნიშნავს ეს?

კრიტიკულ მომენტად ღამის 12 საათის აღება — „ფოტოსურათის“ ერთი მომენტისთვის გადაღების დარია. ამით ხორციელდება მოსახლეობის უკლებრივი და სწორი აღრიცხვა, გამოტოვების ან განმეორების თავიდან აცილება. იგულისხმება, რომ მოსახლეობის უმეტესობა ამ დროს სახლშია (ბინაზე) და მისი სწორი აღრიცხვა გაადვილებულია; თუნდაც რომ მოსახლეობის ნაწილი ამ დროს სამუშაოზე ან სტუმრად იყოს, იგი თავის ბინაზე — ამ ქალაქში აღიწერება. უფრო მეტი, ახლად დაბადებული ბავშვისა თუ ახლად გარდაცვლილი პირის აღწერა ზუსტად უნდა შეუფარდდეს 12 საათს. თუ დაიბადა 12 საათის შემდეგ არ აიწერება, თუ გარდაიცვალა 12 საათის შემდეგ — აიწერება, რადგან იგი 12 საათზე ცოცხალი იყო.

აღწერა ერთდღიურია, რადგან 15-22 იანვრის განმავლობაში მოპოვებული ყველა მონაცემი 14-15 იანვრის ღამის 12 საათს უფარდება, ხოლო თვით აღწერა 15 იანვრის დილის 8 საათზე დაიწყო საერთოდ, გარდა რკინიგზების, სასტუმროებისა და ზოგიერთი გამონაკლისისა, სადაც აღწერები 14 იანვრის ღამის 12 საათზე განხორციელდა.

ამხანაგებო! სახლში მოსულ აღმწერებს დაუბრკოლებლივ მივცეთ სწორი და უტყუარი ცნობები. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესები — ჩვენი კეთილდღეობა.

პროფ. ლ. კარა...



სურათზე: ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს გიორგი ნადირაძეს (შუაში) თანაკურსელები ულოცავენ ფრიადის მიღებას სპეცკურსში.

# ვიყავით ბარაქიან რთველში

—ამჯერად გვარიანად შევყოყმანდი...

— მომავალ ჟურნალისტებზე დამავალეს წერილის დაწერა. ვიფიქრე: ე — მანდ რაიმე ხიფათს არ გადავეყარო მეთქი. ჩვენებურად რომ ვთქვათ ცოტა შარიანი ადამიანები არიან ისინი. უფრო ხშირად მხოლოდ თავიანთი ნაწერი მოსწონთ.

...მაინც გავბედე.

14 სექტემბერს ფანქარს წვერი რიგიანად წავუთალე, ჯიბეში ბლოკნოტი ჩავიდე და № 93 აუდიტორიის წინ გავჩნდი, სადაც ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტებს ჰქონდათ გამოცდა. აუდიტორიისაგან ცოტა მოშორებით თითქმის მთელი ჯგუფი შეგროვილიყო და ცხარე, ძალიან ცხარე კამათი გაემართათ.

გამოცდა ჯერ არ დაწყებულა?! — ვიკითხე მოკრძალებით. ელდარ სალინაძემ, შალვა მაისურაძემ და ომარ ჩიტაიამ ხუთები მიიღეს, ბერდია ბერიაშვილი, ზორბეგ წუწუნავა და აკაკი დოლიძე შიგ არიანო, — მითხრეს და ისევ „ძველი საქმე“ განაგრძეს.

„იოანე პეტრიწი“, „ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა“, „გიორგი მთაწმინდელი“ — ეს და ამისთანები მესმოდა მათი საუბრიდან.

უცებ კარი გაიღო. ყველამ იქით მიიხედა. გარეთ გამოსვლისთანავე ბერდიამ ხუთი თითით „უთხრა“ ამხანაგებს ხუთიანი მივიღეო და მერე დაიწყო ჩვეულებრივი „ცერემონიალი“, რაც თან ახლავს ყველა გამოცდას: „რა შეგხვდა“, „რა შეგეკითხა“?

აუდიტორიიდან არც ზორბეგ წუწუნავა და აკაკი დოლიძე გამოსულან „გაშავებული“.

სულ შეუმჩნევლად გადის დრო. მარინე მაისურაძეს აუდიტორიიდან ბედნიერების ღიმილი გამოჰყვა. დოცენტმა ლეო მენაბდემ დამსახურებულად შეაქო გოგონა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნისათვის.

— ხუთიანი?! — ეკითხებიან ამ ჯგუფის გოგოები (ხოლო ამ ჯგუფში სულ ხუთი გოგოა მარინეს ჩათვლით) და როგორც მათ სჩვევიათ, მილოცვას კოცნით აგვირგვინებენ, თუმცა, ცოდვა გამოტეხილი სჯობია, ცოტა გული სწყდებათ: დღეს ყველა მათგანმა ოთხები მიიღო. ამ დღეს ჩვენი სტუდენტები უხვად „კრეფდნენ“ მომწიფებული „ყურძნის“ — ხუთიანების „მტევნებს“. ჩვენ ბარაქიან „რთველში“ ვიყავით.

ამხანაგებს ტოლს, აბა, ან მიხეილ მშვიდობაძე, ვლადიმერ ცეცხლაძე, ჯუმბერ თითმერია და იოსებ ჩილაშვილი როგორ დაუდებდნენ. მათაც „ფრიადები“ მიიღეს.

ორიოდე სამიანიც გამოერია — შეუწამლავი და მოუვლელი ვაზის მოუმწიფებელი მტევანი, მაგრამ ეს იმდენ ფრიადებში სათქმელადაც არა ღირს.

ასეთივე სასიხარულო დღე გაუთენდათ მომავალ ჟურნალისტებს 14 იანვარსაც. პირველ ხუთიანს ამჯერად ფილოლოგიის ფაკულტეტის უნივერსიტეტის სახელობის კომკავშირული შრომითი ბრიგადის მერგოლური, ყამირის გმირი როლანდ ბასილაშვილი იღებს. „ფრიადები“ იწერება ლ. ხახმიგერაშვილის, ა. შენგელიას, ნ. გურაშვილის, მ. მშვიდობაძის და სხვათა მატრიკულებში.

— არცერთი სამიანი!

დოცენტი ვ. ნათაძე კმაყოფილია სტუდენტთა მიერ რუსული ლიტერატურის ისტორიაში საფუძვლიანი ცოდნის გამომჟღავნებით.

**დ. მდივნიშვილი.**

# წერილი რედაქციას

1956 წელს დავამთავრე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი საბუხჰალტრო აღრიცხვის სპეციალობით და მუშაობა დავიწყე ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ერთ-ერთი საამქროს უფროს ბუხჰალტრად.

უნივერსიტეტში საბუხჰალტრო დარგში მიღებული თეორიული ცოდნა დიდად დამეხმარა პრაქტიკულ მუშაობაში. ამაში პირველ რიგში დიდი წვლილი მიუძღვის ეკონომიური ფაკულტეტის საბუხჰალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის კათედრას, მის მეცნიერ თანამშრომლებს.

გთხოვთ ჩემი სახელით, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ ზემოაღნიშნული კათედრის გამგეს — ა. ინწკირველს; კათედრის წევრებს: დოც. გ. გურგენიძეს და დოც. ნ. დგებუაძეს.

გამოვთქვამ რა უღრმეს პატივისცემას მათდამი, როგორც ჩემი აღმზრდელებისადმი, ვუსურვებ მათ კიდევ მეტი მომზადებული სპეციალისტები გამოუშვას საბუხჰალტრო აღრიცხვის სპეციალობით, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი სახალხო მეურნეობის თანამედროვე ეტაპზე. სასურველია აგრეთვე, თუ ეკონომიური ფაკულტეტის მეცნიერი თანამშრომლები უფრო მჭიდრო კავშირში იქნებიან უნივერსიტეტის იმ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც მუშაობენ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, რათა ადგილზევე აღმოუჩინონ მათ მეტი პრაქტიკული დახმარება.

**ლეო ბალდავაძე,**
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ძრავების საამქროს უფროსი ბუხჰალტერი.

# ბიბლიოთეკა კარგად მუშაობს

სტუდენტთა ქალაქის მეხუთე კორპუსში, სადაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაა მოთავსებული, ყველაზე უფრო მეტად იგრძნობა, რომ იანვრის სესიები დაიწყო. სამკითხველოში დილიდან საღამომდე არ წყდება საქმიანი ფუსფუსი. ბიბლიოთეკრებს — ავრორა არჩვაძეს და ეთერი სიხარულიძეს ერთი წუთითაც ვერ ნახავთ უსაქმოდ. რა გასაკვირია? რომელი ფაკულტეტის სტუდენტებს არ შეხვდებით აქ. ვის „საქართველოს ისტორია“ სჭირდება, ვის უმაღლესი ალგებრის სახელმძღვანელო, ან ლენინისა და სტალინის ტომები. აი, თუნდაც ეს ქერა ქალიშვილი, ყოველთვის ერთ ადგილას რომ ზის, ალბათ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, რადგან მის წინ მხოლოდ კოდექსები და სისხლის სამართლის სახელმძღვანელოები დახვავებულან. ჰოდა, უნდა ყველას პასუხი გასცე, ყველას თხოვნა უნდა დააკმაყოფილო, კეთილსინდისიერად მოემსახურო. ამიტომაა, რომ ბიბლიოთეკრებს უქმად არც ერთი წუთი არ რჩებათ.

ყოველი დღე ერთნაირია, მაგრამ მაინც ლამაზი და შინაარსიანი. დილით, გაიღება თუ არა ბიბლიოთეკის კარები, ყველაზე ბეჯითები უკვე სხედან გადაშლილ წიგნებთან. უცებ გაივსება მთელი დარბაზი და წიგნების საამო შრიალიღა ისმის. ჩურჩულითღა შეიძლება ლაპარაკი და ისიც მხოლოდ ბიბლიოთეკრებთან — თუ კი რაიმე წიგნი, ან მთელი დღის ფოსტის წაკითხვა გსურს.

უფრო გვიან კი კანტი-კუნტად იღება კარები და, როცა შემოსული დარწმუნდება, რომ მთელი დარბაზი სავსეა, უკმაყოფილოდ ბრუნდება უკან.

უყვართ სტუდენტებს მეხუთე კორპუსის ბიბლიოთეკა, რომელიც 5 ათასამდე წიგნს ითვლის და ყველა ჟურნალ-გაზეთს იღებს. ამიტომ იგი ყოველთვის სავსეა ახალგაზრდობით. მათგან ბიბლიოთეკრები ბევრს ძალზე ახლოსაც იცნობენ. ეს ისინი არიან ვინც მთელი თავიანთი სტუდენტური ცხოვრებით ამ დარბაზთან არიან დაკავშირებული. აი, თუნდაც გ. შეთეკაური, შ. კონსტანტინიდი, ლ. ხვარცკია, გ. ჯავახიშვილი, მ. ჩანგაშვილი, რ. შარაშენიძე, ჯ. შანიძე და სხვები. ვინ ჩამოთვლის მათ გვარებს, ისინი ხომ ბევრზე ბევრი არიან. სწორედ ეს ახალგაზრდები ყველაზე მეტად განიცდიან იმას, რომ ბიბლიოთეკის დარბაზი ასე პატარაა და გულისტკივილით აცხადებენ: განა, ასე ძნელია მისი გაფართოება, ან მეორე სართულზე გადატანა, სადაც შედარებით უფრო სიწყნარე იქნებოდა? პირველ სართულზე ხომ გარედანაც შემოდის ხმაური!.. ამ ახალგაზრდებს ისიც აღელვებს, რომ ბიბლიოთეკა მხატვრული ლიტერატურით შედარებით ღარიბია და სურთ ამ საკითხსაც მიექცეს ყურადღება. იგი ისევე კარგად უნდა მომარაგდეს ჰუმანიტარული ლიტერატურით, როგორც სხვა ბიბლიოთეკები, რადგან ლიტერატურის მოყვარული ახალგაზრდები საკმაოდ ბევრი ცხოვრობს სტუდენტთა ქალაქში.

უკვე რამდენიმე წელია ამ ბიბლიოთეკაში უცვლელად მუშაობენ ავრორა არჩვაძე და ეთერი სიხარულიძე, რომლებმაც გულწრფელად შეიყვარეს თავიანთი საქმე და ვერც კი წარმოუდგენიათ ცხოვრება სტუდენტებთან მუშაობის გარეშე. მიდიან წლები, შეუმჩნევლად ენაცვლებიან ერთიმეორეს დღეები და მათ თვალწინ ვაჟკაცდებიან გუშინდელი ახალბედები, რომლებიც პირველად ვერც კი ბედავდნენ ბიბლიოთეკაში თავისუფლად შემოსვლას...

...და როცა უკვე ცხოვრებაში გამოჯვებული ახალგაზრდები უფრო ფართო გზაზე დგებიან, სიამაყისა და სიხარულს გრძნობენ ავრორა და ეთერი. მათაც ხომ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ისინი სასახელო ადამიანები გამოსულიყვნენ...

**ანგი არსენიშვილი**



სურათზე: უნივერსიტეტის I კორპუსის სტუდენტთა სამკითხველოს დარბაზი გამოცდების პერიოდში.
ფოტო ა. გემჯიანისა

# სტუდენტები სახეგაბრწყინებული გამოდიან აუდიტორიიდან

14 იანვარი... უნივერსიტეტის I კორპუსის 92-ე აუდიტორიის წინ თავი მოუყრიათ ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის მე-2 ჯგუფის სტუდენტებს; სახეზე უმრავლესობას მღელვარება ეტყობათ!... დღეს ისინი რიგით მეორე გამოცდას აბარებენ „ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლებში“ (გამომცდელი ლექტორი დოც. ა. ჭილაია).

საათის ისარი ცხრას უახლოვდება... ზოგი ისევ წიგნს ჩაჰკირკიტებს, უმთავრესად ქალიშვილები!.. თითქოს ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულან თავიანთ ცოდნაში, თითქოს აშინებთ წიგნისაგან დამოუკიდებლობა...

გენადი ბურჭულაძე და ჯემალ აფციაური რაღაცას ენამახვილობენ... საათის ისარი უკვე ცხრას მიუახლოვდა და პატივცემული ლექტორიც მოვიდა; ტკბილად მოგვესალმა, როგორც ყოველთვის!.. რამდენიმე წუთიც და...

— შემოდით პირველი წყვილი! — გაისმა ლექტორის ხმა.

შედიან... გადის სულ 25-30 წუთი და სტუდენტები სახეგაბრწყინებული გამოდიან აუდიტორიიდან, — ესენი გახლავთ ლამარა კახაბრიშვილი და გ. ბურჭულაძე, რომლებმაც დღეს მეორე ფრიადები მიიღეს... შემდეგი... და ასე გაგრძელდა დღის ორ საათამდე!..

ალბათ ლექტორი ნაწყენი არ დარჩებოდა, რადგან უმრავლესობამ მაღალი ცოდნა გამოავლინა და — ფრიადები და კარგები დაიმსახურა...

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჯგუფში უმრავლესობა საწარმოო სტაჟით შემოსულნი არიან და ისინი არა თუ არ ჩამორჩებიან ცოდნაში ცხოვრებაში ჯერ კიდევ გამოუცდელ ამხანაგებს, არამედ საპატიო მეტოქეობასაც კი უწევენ მათ. ასეთებია: ინგიშტერ ცქიტიშვილი, ოთარ ონიანი, ნათელა ცისკარიძე, ნანული ახობაძე, გურამ ბაიდოშვილი, ნაზი რუხაძე, ელგუჯა გიუნაშვილი და სხვები, რომლებმაც მაღალი მომზადება აჩვენეს, როგორც ჩათვლებზე, ისევე გამოცდებზეც!

ამ ჯგუფის სხვა სტუდენტებიდან კარგი აკადემიური მოსწრებით და სანიმუშო დისციპლინით აღსანიშნავი არიან ნ. გახარია, ჯ. აფციაური, კლ. გურგენიძე, გ. გიორგობიანი და სხვები.

იანვრის საგამოცდო სესიები საერთოდ პირველკურსელთა პირველი „ნათლობაა“. დღეს, მე მგონია, მათი მაჩვენებლები ძირითადად მისალმების ღირსია, ვუსურვოთ მათ — ასეთი მიღწევები გაზაფხულის საგამოცდო სესიებზეც ჰქონებოდეთ!

**გიორგი საითიძე.**



სურათზე: გამოცდა საბჭოთა პრესის თეორიასა და პრაქტიკაში ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების IV კურსზე. საგნის მასწავლებელს, დოცენტ ტარიელ კვანჭილაშვილს (მარჯვნიდან პირველი) გამოცდას აბარებენ სტუდენტები — გ. ქელიძე (მარცხნიდან მეორე) და ლ. თოდუა (მარცხნიდან პირველი).
ფოტო ა. გემჯიანისა

# წიგნის თარო

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და ბაზარზე იყიდება ა. ხარაძის, ვ. ჭელიძის, ბ. ხვედელიძისა და ი. ქარციგაძის — **მათემატიკური ანალიზის კურსი.** წიგნი, რომლის რედაქტორია ა. ხარაძე, შეიცავს 388 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 11 მან. და 30 კაპ.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 1000, უე 00811.